6565
2

ახალი გამოკვლევა

ისტორიის წინა დროებაზე და ქართველი ტომის დასაწყისზე.

ასზუდება

დიმიტრი ბაქრაძისა

წიგნი პირველი

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან.

ობილისი

სტამბა გრ. ჩარკვიანისა § Тип. Гр. Чарквіани.

1881

ახალი გამოკვლევა

ისტორიის წინა დროებისა და ქრისტიანული
ტომების დასაწყისისა.

ისაზღვარა

დამატრა ქრაძის

წიგნი პირველი.

ბ. ჟევინაძისაგან

ტფილისი

სტამბა გრ. ჩარკვიანისა § Тип. Гр. Чарквіани.
1881

ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა-დროებაზე.

უკანასკნელის 20—30 წლის განმავლობაში უძველეს ტომებზე, იმათ შთამომავლობაზე და ეთნო-ცხოვრებაზე ევროპის მსწავლულნი სრულებით ახალ აზრს დაადგენენ. ამ ცვლილების საფუძვლად იმათ აქვთ ორი ახალი შტო მეცნიერებისა—ენათ შესწავლა ანუ შედარებითი ლინგვისტიკა და არხეოლოგია ისტორიის წინა-დროებისა. ენათ შესწავლის საგანია გამოკვლევა ენისა, იმის ფესვებისა და გრამმატიკულის ფორმებისა, და გარდა ამისა შედარება ერთი ენისა მეორესთან, მესამესთან და სხ. აქამომდე შესწავლულია 800-მდე ენა და ამ შესწავლამ ცხადად გვიჩვენა იმათში რომელს რომელთანა აქვს ნათესავური კავშირი. საზოგადოთ ახლა უველა ენები დანაწილებულნი არიან მოდგმა-მოდგმად, ნათესავებად ანუ გვარებად, გრუპებად და დიალექტებად. ენის თვისებისა ანუ აგებულობისა მებრ უველა მსოფლიო ენები; ძველნი და ახალნი, ამოწუეტილნი და ცოცხალნი, დაიყოფებიან სამ მოდგმა ენებად: ერთ მოდგმას ეკუთვნიან ის ენები, რომელთ შორის ენის ფესვი ანუ ძირი შეადგენს სიტყვასა და უცვლელად შთება ურთი-ერთ დაკავშირებაში—არსებითს სახეში, ზედ-შესულში, ნაცვალსახელში, ზმნაში, კანკლედობაში და სხვა. მეორე მოდ-

გმის რთულ სიტყვებში, რომელნიც შემდგარნი არიან, ვთქვათ, ორის თუ მეტის ფესვიდამა, ერთი ანუ ორი ამ ფესვთაგანი უცვლელად ეგება. მესამე მოდგმის ენებში ფესვები ისე იცვლება, რომ სშირად სრულებით ჰკარგავენ თავის სასიათს და მნიშვნელობას. პირველ მოდგმას (односложные) ეკუთვნიან: ჩინური, ტიბეტური და სხ.; მეორე მოდგმას (приклейные): იაპონური, ავსტრალიური, ნეგრული, ავრიკაში, ამერიკის ენები, თურანული ესე იგი ფინური, თურქული, მონგოლური, თუნგუზური, სამოედური. მესამე მოდგმისანი (флективные) არიან შემდეგნი ენანი: ა) სემიტური ანუ არამეო-ასსირიული (ქალდეური, სირიული და ასსირიული), სანანეურით (ებრაული და ფინიკიური) და არაბულით; ბ) ხამიტური ანუ ეგვიპტური, ლიბიური და ეთიოპიური; გ) ინდო-ევროპული, ესე იგი ირანული (ზენდური, სპარსული, სომხური, ოსური, ქურთული, ავღანური), კელტური, ელლინური, იტალიური, გერმანიული (გოთური, სკანდინავური, ძველო-გერმანიული, ზემო-გერმანიული), სლავიანური და ლეტური. ამ ენების მოდგმათ აგებულებაში არსებობს ისეთი განსხვავება, რომ ზოგიერთნი მეცნიერნი,—მთელი ასალი შკოლა, რომელსაც ეკუთვნიან, მაგ., დარვინი და აგასიზი,—ამტკიცებენ, ვითომც თვითეული მოდგმა იყოს აღმოცენილი ცალ-ცალკე, სხვა და სხვა ადგილს, სხვა და სხვა დროს. ამ საგანზე დიდი ბაასია და ვნახოთ მომავალი რა განაჩენს დასდებს; ეს კი უეჭველია ახლავე,

რომ ლინგვისტიკურმა შესწავლამ იქამდე მიაღწია, რომ არა თუ ადამიანის ან დედა-ენა, რომლიდამაც ამოსტენდნენ ინდო-ევროპიულის სათესაოს ენები [1]), არამედ სათლად ამოგვიხსნა უძველესის მოდგმათ უძველეს წინა-პირთ პირველი ადგილ-სადგომი, ჩვეულებანი, ყოფა ცხოვრება, სარწმუნოებრივი მიდრეკილება, ერთი-ერთი იმათი დამოკიდებულება და სხ. [2]) ერთის სიტყვით, გასვითარებულის ლინგვისტის მაქს-მიულლერის თქმით ენა მიგვიძღვის დროების წყვდიადში, ბევრით შორს, ვიდრე ასსირიისა და ბაბილონის ლურსმანებრივი ლიტერატურა, ვიდრე ეგვიპტის იეროგლიფური მწერლობა. ენა გვაკავშირებს შეუწყვეტელის სიტყვის ჯაჭვით კაცობრიობის წინაპრთან და იქიდამ იწყობს თავის ცხოვრებას [3]).

იმავე საგანს, რომელსაც ჩვენ ზემოდ შევეხებით, ხელი დასდო თვით ინსელლოგიამაც. ამ ინსელლოგიის წევრობას შეადგენენ დედა-მიწაში ჩამარხული გადაშენებული ტომი ეკვდი, ძველ ნინგრევებში და ასსაღლა-

[1]) Bibliothèque des sciences contemporaines— La Linauistique pqr Abel Hovelacque, Paris, 1876, 198—208.

[2]) François Lenormant, Manuel d'Histoire Ancienne de l'Orient, Paris, 1869, II, 278—287.

[3]) Лекціи по наукѣ о языкѣ, С.-Петербургъ, 1865, стр. 19, 20.

ებში დაცული მისი სხვა და სხვა ნაშთი და ნაწარმოები. საუბედურად არსეოლოგია ჯერეთ შეხერებული უფრო ევროპის ნაადგზე და ზოგიერთს აზიის ადგილებზე, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ აქამომდე შეგროვილის მასალების შემწეობით იმან უკვე გაარკვია ის ცხოვრება, რომელიც კაცობრიობას გაუვლია ბევრით ადრე ისტორიის დრომდე. ამ ცხოვრებას ის საზღვრავს სამ საუკუნედ: ბირველის საუკუნის (каменный вѣкъ) მომდინარეობაში ადამიანი დაბალ საფეხზე დგას, ხმარობს მხოლოდ ქვის სამკაულს და ქვის იარაღს; მეორე საუკუნე (бронзовый вѣкъ) წარმატებაში შედის, ქვის მაგიერ სმარობს თითბერს; მესამე საუკუნე (желѣзный вѣкъ) წარმოგვიდგენს ისტორიულთ ქამთ დასაწყისს: სმარებაში შედის და გრცელდება რკინის იარაღი და სხვა და სხვა ყოფა-ცხოვრებისთვის. საკმაო რკინეულობა. ოქრო და ვერცხლი ძველადვე ისმარებოდა. აქ უნდა მსედველობაში ვიქონიოთ, რომ თვითოეული სსენებულთ საუკუნეთაგანი შეიცავს დიდს დროთა სიგრძეს და არა ას-წლოვანს დროს, როგორც საზოგადოდ მიღებულია სიტყვა საუკუნე; რომ თითქმის ყველა ადამიანის მოდგმას და ნათესავს, რომელსაც კი ძველადვე უცხოვრია და წარმატება აღმოუჩენია, გავლილი აქვს სამივე საუკუნე, თუმცა სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ქვეყნიგ მხარეში, რომ უკანასკნელს საუკუნეს ბოლო მოუღო საბერძნეთში და იტალიაში ადრე, სამხრეთ-დასავლეთს ევროპაში მეხუთე და მეშვიდე საუკ.,

და ჩრდილო-აღმოსავლეთს მსარეებში კი შეათე-მეთერთმეტე საუკ., ესე იგი ქრისტეს სარწმუნოების მიღებით.

ასევე როგორც ენებისა და არსეოლოგიის შემოწმებით, აგრეთვე სხვა და სხვა ტომთ მესსიერებაში დასერგულის გარდამოცემით ასალი სწავლა—მეცნიერება უჩვენებს ძველ მოდგმათ ბერძულ-დასავლეთის ადგილ-�მულს, რომელსაც შეადგენს ზემო აზია. ანუ ვრცელი ვაკე-მაღლობი, საიდამაც მიმდინარებს დიდი მდინარე; ოთხ-შტოდ დაყოფილი. ეს ვაკე-მაღლობი არის ბოლორი ანუ ბელურტაგი; ეს ოთხნი შტოანი არიან: ინდოსი, ჭელმენდი, ოქსუსი და იაქსარტი. ბოლორის ვაკე-მაღლობი ანუ ბაქტრიანი ეწერთათ ინდო-ევროპელების წინაპრებს, არიელებს [4]) და მათ მეზობლად სცხოვრებდნენ სამიტნი, სემიტნი და თურანელნი. აქ, არიელების დედა-მამულში, ვიდრე ისინი ერთმანეთს დაჭორდებოდნენ ენით, იმათ ჭსცოდნიათ მიწის შემუშავება, სვნათესვა, გზის კეთება, კერვა-ქსოვა, სახლთ შენობა; ისინი სთვლიდნენ თურმე ასამდე; ხმარობდნენ ასასარგებლო მეტალებს და რკინის ცულებს შინ და გარეთ, აგრეთვე შინაურ პირუტყვებს—ძროხას, ცხვარს, ძაღლს, ცხენს; მისდევდნენ ნათესობას და ქორწინებას; ჭმორხილებდნენ

---

[4]) როგორ ჭქონდათ არიის მიერათესავე ტომებს დაყოფილი ერთმანეთში ადგილები ზემო აზიაში, ამაზე ერთი აზრი იხილე Lenorm., Man. d'Hist., II. 275—277.

თავისთ უფროსებს და ისსენებდნენ უზენაესს ადსენასს, რომელსაც სხვა და სხვა სახელს უწოდდნენ.

ზემო-აზიიდამ გაიბნა იმათი თესლი სხვა და სხვა მხარეს. რა უნდა ეოფილიეო მიზეზი? „აქამომდე, ამბობს ამერიკის ისტორიკოსი დრეპერი, ამ მოძრაობის მიზეზად მიაჩნდათ ხალხის გამრავლება და მისი სურვილი საყოფიერის ქვეყნების დაპყრობისა. რასაკვირველია ერთი მიზეზთაგანი ესეც იყო; მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ აზიიდამ ისეთის სისწრაფით იწყობა მოძრაობა, ეს მოძრაობა შეიცავდა ისეთ სიმრავლეს ხალხისას, რომ უმთავრესი მიზეზი იმისი სხვა რამ უნდა ყოფილიეო. ჩვენ ვიცით, რომ უუმეცარესის დროდამ აზია შეუბრკოლებლივ იბურთება. ამ აბურთებას დიდი გავლენა აქვს ბუნებაზედაც და კაცზედაც: ჭაა იცვლება, ცივდება; მთელი მდინარეები შრება და სწყდება. ამ მოვლენებით ანსნება ის შემთხვევა, რომ აზიის მოძრავნი მცხოვრებნი, შერეულნი და შეშფოთებულნი, სტოვებდნენ თავისთ ადგილ-სადგომებს და მიიწევდნენ იქითკენ, სადაც იმათ წინ ედგათ უკეთესი ადგილები, ვიდრე მათი მხარე“ [5]) თავისთ მოგზაურობაში იმათ თან გაჰყოლდათ ძველი მამა-პაპური თქმულებები, რომელნიც დატოვებულის ქვეყნის თვისებას ანუ მოვლენას რასმე მოასწავებდნენ, მაგ. თქმულება წარღვნაზე, რომელიც შემდეგ მარტო

---

[5]) Исторія умственаго развитія Европы С.-Петербургъ, 185, I, 264—28.

ებრაელებში არ იყო გავრცელებული; ამას გარდა ისინი იმ ჩვეულებასაც მისდევდნენ, რა ჩვეულებასაც მომავალში მისდევდნენ ელლინები და სულ-ბოლოს ამერიკელნი: ისინი ახალ ქალაქებს, მდინარეებს, მთებს და ადგილმამულებს, სადაც ბინადრობას სდებდნენ, დროთ თუ სამუდამოდ, იმ სახელებს ანიჭებდნენ, რომელნიც ძველს ადგილებს მოაგონებდნენ. ამ გვარად ხშირად მოსდებოდა, რომ ერთი და იგივე სახელი მოგზაურობდა ერთის მხრიდამ მეორეში და მესამეში.

სულ ძველად გავიდნენ ზემო-აზიიდამ სამიტნი და დაბინავდნენ ზოგნი სპარსეთის ყურეს გარეშემო, ზოგნი ქალდიაში, ზოგნიც ნილოსის მდინარეზე. სამიტებმა თითქმის ერთ დროს დააფუძნეს (4000 წლის წინ ქრისტეს შობამდე) სამეფოები ბაბილონში და ეგვიპტეში თითქმის იმავე დროს დაიძრნენ თურანელნი: ერთმა იმათმა ნაწილმა გაიარა კასპიის ზღვის ჩრდილო მხარე და მიჰმართა მცირე აზიას და ევროპას; დასავლეთმა ნაწილმა მიჰმართა სამხრეთისკენ, გადაიარა ინდოქუშის მთა და დასასლდა ინდოეთის საზღვრად—ატროპატენში (ადერბეიჯანი), არმენიაში და მცირე აზიაში. ამ დროს სემიტნი და არიელნი ბინადრობდნენ ჯერ ისევ თავის სამშობლოში: იმათ ვუწოდებთ იქვე 3000 წლით ქრისტეს წინად. სემიტნი მიჰყვნენ თავიანთის მოსათესავე სამიტების ნავალს და დაუკავშირდნენ იმათ, ბოლოს კი მძლავრეს და დაიმორჩილეს ანუ ამოსწყვიტეს იგინი ქალდეაში, ასირიაში, პალესტინაში და არაბისტანში.

ორიელებთ მონათესავეთა შორის პირველნი შეიძრნენ ბელტნი: იმათი გზა იდო კასპიის სამხრეთით საქართველოზე და ალბანიაზე (დაღესტანზე), შავიზღვის ჩრდილო მხარისკენ და დუნაით ევროპისკენ; ირანიელნი გაემგზავრნენ ზოგნი ინდოეთისაკენ, ზოგნი მიდიისაკენ და სპარსეთისაკენ და 2500 წლით ქრისტეს წინად იმათ დაამსგეს პირველი ბაბილონის იმპერია. ბოლოს გაკვლეულს კვალს გაჰყვნენ ჯერ გერმანიელნი, მასუკან სლავიანნი. იმათ კაი-სანი იბინადრეს სკვითების მხარეში ვიდრე ევროპისკენ გაიწევდნენ ტანაისით, თირასით და ისტერით ჩემუსამდე. ეს უკანასკნელი მოძრაობა უნდა მომხდარიყო პირველს საუკუნეში ქრისტეს შობის წინ, „რადგანაც ალექსანდრე მაკედონელის დროს (356—324) მათ ეპყრათ დიდი სივრცე შავის ზღვიდამ მოკიდებული რეინამდე და ბალტიის ზღვამდე“.

თავდა-პირველად ცხოვრების წარმატების გზას დაადგა ორი ქვეყანა: ეგვიპტი და ბაბილონი. ამ ქვეყნებში დამყარდა სახელმწიფო წესი და სასაზოგადო წყობილება; აღუვავდა სხვა და სხვა გვარი ხელოვნება და სწავლა-მეცნიერება, რომელიც იქიდამვე გავრცელდა ასსირიაში, ფინიკიაში, მცირე-აზიაში და სხ. ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ სულ ძველად იხმარებოდა ორ-გვარი სამწერლო ნიშნები: იეროგლიფური ანუ იდეოგრაფიული და ლურსმებრივი. პირველი შეადგენდა მხატრობას, ესე იგი წარმოადგენდა იმ აზრებს ანუ საგნებს, რომელთ წარმოდგენა ჭსურდათ, მაგალითად ☥ ნიშნავდა მზეს, ☽

მთვარეს. მეორეც თავისის ფორმით მიემსგავსებოდა ისარს ანუ ლურსმანს, ამისთვისაც ეწოდება იმას ლურსმებრივი წერა. ლურსმებრივი ნიშნები წარმოადგენდნენ მხოლოდ სიტყვის მარცვლებს, და არა ასოებს. იეროგლიფურს ნიშნებს სმარობდნენ ეგვიპტელნი, ლურსმებრივს ბაბილონო-ასსირიელნი, მიდიელნი და სპარსელნი. ზოგი-ერთნი ამტკიცებენ, კითომც ამ უკანასკნელის მომგონნი იყვნენ თურანელნი, რომელთაც ის შემოუტანიათ ზემო-აზიიდამ ბაბილონში. სამწერლო ნიშნების წარმატებას მიაწერენ ქანანეველთ, ესე იგი ფინიკიელთ, რომელნიც შემდეგ გადმოსახლებისა ბირველის სამშობლოდამ თავიანთის მოსათესავე ებრაელებითურთ ჯერ ბინადრობდნენ სპარსეთის ყურეს კიდეებში, და შემდეგ დამკვიდრდნენ თვითონ საშუალო-ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, ებრაელნი კი მესოპოტამიაში. ფინიკიელებმა გაავრცელეს ეს ნიშნები ყველგან, სადაც კი ისინი, როგორც ზღვით-მავალნი, აღებ-მიცემობდნენ. ეს ნიშნები შეადგენენ ალფავიტს ანუ ჩვენებურად ანბანს, რომლის შემწეობითაც გამოისატება ყოველივე ასო, უხმო თუ ხმოვანი [1]).

აქ, ჩვენის აზრით, უადგილო არ იქნება განსაზღვ-

---

[1]) ამ საგანზე იხილე ვრცელი და მშვენიერი ანბანი Alphabetum ფრანსუ. ლენორმანისა.—Dictionnaire des antiquité Grecques et Romains par Daremberg et Saglio, p. 188—218.

როთ ის სასიათი, რომლითაც გასვითარდნენ ეგვიპტი და ბაბილონი და ამასთანავე ვუჩვენოთ ის ძალა, რომელიც ასალმა მეცნიერებამ აღმოაჩინა იმათ გამოკვლევაში. აი რას ამბობს ამ საგანზე ჩვენის დროს მიმართულების ისტორიკოსთაგანი, ფრანსუა ლენორმანი. „ძველის ცივილიზაციის წარმომადგენელთ ტომებში ამ სასეკარის საუკუნის წინად უალმატებულესად ღირს-სასსოვარ სალსებად ჭსადიდენ მსოლოდ ბერძნებს და რომაელებს არ ფიქრობდნენ, რომ გარეშე საბერძნეთისა და იტალიისა ყოფილიყო ს

დედა-მიწაზე გავრცელდა. ეს შემოხვევა იყო მიზეზი როგორც სწავლის წარმატებისა საზოგადოდ, აგრეთვე ძველის და უძველესის საუკუნოების გამოკვლევისა. უძველესის დროების შესწავლა იწყეს ეგვიპტით. თავდაპირველად შამპოლიონმა (დიდის სახელოვანის დროს) აგლიეა ის ყარდა, რომელიც ჩიკარაგდა იეროგლიფურს მწერლობას ეგვიპტისას. მეცნიერებას გაელო კარი ისტორიულის საუნჯისა. ნილოსის ვაკე-ველეების მთელს სივრცეზე გამოძიებულ იქმნა ძველი ძეგლები და ამ ძეგლებმა ცხადად დაგვანახვეს მოქმედებანი ეგვიპტელებისა, რომელნიც წუგდიადის დროიდამ ჭმართავდნენ თავის ქვეყანასს. ამ წუგდიადიდამ გამოიკითხნენ თითქმის 4000 წლის განმავლობის მიელობელნი ეგვიპტისანი. ახლა ჩვენ ვიცით იმათის დროს ცელოვნება: ხაარსიტექტურა, ხა. ხკულპტურა და ხამხატვრო; ვიცით, რომ გარდა ბირეტეული თავგანისცემისა იქ სუფევდა ხამეცნიერო ენა-ება, რომელიც ქვეყნის შემოქმედად ჭნადდა ერთ ღვთებას. ახლა ნათარგმნია და ითარგმნება იმათი უმთავრესი ლიტერატურა, რომელიც თავის ენაზით მიეცემა ებრაულს ხამღთო მწერლობას. ერთის სიტყვით, ეგვიპეტმა დაიჭირა შესაფერი ადგილი მსოფლიო ისტორიაში და ახლა ჩვენ შეგვიძლიან მოვუთხრათ მისი მატიანე მისსავე ნამდვილსა და თანა-მედროე წყაროებზე დამყარებული, მოვუთხრათ ისე, როგორც აწინდელის დროს ყოფა-ცხოვრება.

„ასირიის ისტორიის აღდგენა უფრო გასაოცარი

იყო. სინეკვიამ და ბაბილონმა არ დასტოვეს ლედა-მიწის პირად, რომელთაც ფიკვიადამ (ეგვიპეტში), დიდ-დიდის ზომის სამეფოები. იქ მოგზაური პოულობს მსოლოდ გორა-გორა გროვას სანგრევებისას. ჰგონებდნენ, რომ ს

იმასაც სძლია ასურულმა მეტოდმა მეცნიერებისამ. ლეონ-
სებრივის მწერლობის გამოძიებას შეუდგნეს ინგლისე-
ლი რავლინსონი, ნემეცი ჰინკი და ფრანციელი ოპერტი
და ასურ ჩვენ იმათის შემწეობით ვკითხულობთ ქალდეო-
ასსირიის ხრონიკებს, რომელნიც წარწერილნი არიან მარ-
მარილოებზე და შედულებულის კირის ფიცრებზე და
რომელნიც შეიცვენ მათმიერვე ნაამბობს ვრცელს მოთ-
ხრობაებს იმათ გალაშქრებაზე და ქვეყნების დაპყრობაზე,
აგრეთვე იმათს ულმობელს სასიათზე. ზოგიერთი ეს
მწერლობა შეეხება იმ შემთხვევათაც, რომელთაც მოიხ-
სენებს ბიბლია და იმათი შეთანასწორება სამდვილ გეიმ-
ტკიცებს უძველეს ჭეშმარიტებას სამლთო ისტორიისას.
ასსირო-ბაბილონის დრეს შესწავლამ მოჰფინა სინი
თვით ცივილიზაციის დასაწყისს და იმის მიმდინარეობას.
შეუძლებელი იყო, რომ ამ გვარი ბრწყინვალე კულტუ-
რა სამუდამოდ შემწყვდეულიყო იმათს საზღვრებში. მარ-
თლა და ცხადია, რომ იმათი სწავლა-სელოვნება მიჰყო-
ლია იმათის სამხედრო მსვლელობის კვალს და გავრცე-
ლებულა აღმოსავლეთად და ჩრდილოეთად, მიდიაში და
სპარსეთში, სადაც შეუთვისებია ირანელებს ასემენიდე-
ბის დრეს. ამას წინად საბერძნეთის სელოვნების წყა-
როდ მიაჩნდათ ეგვიპტი; მაგრამ არა; ასურ ამ წყაროდ
უნდა ვსადიდეთ ნინევიას. ბაბილონო-ასსირიის გავლენა
მოჰფენია სირიას, მცირე აზიას და საშუალო-ზღვის
კუნძულებს; ბერძნების ქალაქებიდამ, რომელნიც შავი-
ზღვის პირად ჰყვაოდნენ, ის შესულა თვით ელლინის

ტომის სამეფლობელოში, და ამ გვარად საბერძნეთის სეულეტორებს მაგალითად და სიმუშაკ ჭქონიათ ბაბილონო-ასსირიელთ წაწარმოები. მცირე აზიიდამ ეს სელოვნება ლიდიის მცხოვრებთ შეუტანიათ იტალიაში, სადაც იმას დაუდვია საფუძველი ეტრურიის ცივილიზაციისა, რომელზედაც შემდეგ აშენებულა რომის დიდება [1])".

ზემოდ მოვისსენეთ მცირე აზია. ეს მსარე ძველად ისე ეოფილა დაკავშირებული კავკაზზე და თვით საქართველოზე, რომ აქ საჭირო იმას თვალი გადავავლოთ. მცირე აზია, რომელიც ახლა საზოგადოდ ცნობილია ანატოლიად, მე-X საუკუნის მწერლის კონსტანტინე პორფიროგენეტის თქმით — ანატოლიის თემად, le thème anatolique (Vivien de Saint-Martin, Nouveau Dictionnaire de Géographie Universelle, 1877, p. 133.), შეადგენს ნახევარ კუნძულს და ითქმის ჩვენ საზღვრად მდებარებს. სამის მხრით ის შემოზღუდულია ხმელთა-შუა ზღვით, ეგეის ზღვით ანუ არხიპელაგით, პროპონტიდით ანუ მარმარილოს ზღვით და პონტის ანუ შავის ზღვით. დანაშთენის მხრით იმას უძევს ხმელეთი: ნაწილი სომხეთისა ეფრატის სათავეებში და მესხეთის მთა. მცირე აზია იეოფა ტავრს-აქეთ აზიად და ტავრს-იქით აზიად. ტავრის მთა მესხეთის მთის შუამავლობით უერთდება თვით ჩვენ კავკაზს და მთელს სიერცეზე მოფენილია, როგორც ეველა ადგი-

---

[1]) Lenorm., Man. d'Hist., I, I—XVI.

ლები მტირე აზიისა, ვულგასებით, რომელნიც ჩამოწმობენ, რომ ის ტეტსლის მოქმედებით არის ამოხეთქილი დედა-მიწის გულიდამ. მტირე აზია ბუნების თვისებით, ჩვეით და ნაყოფიერებით დიდად მიემსგავსება კავკაზის მსარეებს. შესანიშნავნი იმის მდინარეთაგანნი არიან: უმთავრესი სიდიდით და ისტორიულის მნიშვნელობით ჩვენი ანუ ასლანდელი ყიზილ-ირმაქი, თერმოდონი, ირისი და სანგარიოსი. მტირე აზიაში ძველადვე დამყარებულა ორ-გვარი შთამომავლობა. ერთს შეადგენდა სემიტური გვარი, მეორეს არიელი გვარი. სემიტნი დაბინავებულან ჩრდილო-დასავლეთის მსარეში; არიელნი კი აღმოსავლეთ-სამხრეთად.

აქ მოგიხსენებთ მხოლოდ იმ ტომებს, რომელნიც ჩვენ ტომთან მტირედ თუ მეტად დამოკიდებულნი ყოფილან.

სემიტები ანუ, უკედ ვთქვათ, არამიელები იქ ადგილ-ადგილ გაცალცალკეებულნი იყვნენ, ადგილ-ადგილ კი შეერთებულნი. სასელი არამი, არამიელი წარმოდგარა ებრაულის არამ-იდამ, რ ამელიც ჩნიშნავს მთას, მთიანს ადგილს. არამი უძველეს დროსვე მისთვისებია მტირე-აზიის აღმოსავლეთ ნაწილს და საშუალო ქკეუნის ზღვის მოსაზღვრე თემებს ეფრატამდე და ტიგრამდე. მტირე აზიის არამიელებში ღირს-სასსოვარნი არიან: კაპპადოკიელნი, რომელნიც მკვიდრობდნენ ზღვის პირად, მთა ადგილებში და საშუალ ეფრატისა და ტიგრისა. ქრისტეს შობის წინ მერვე საუკუნეში კაპპადოკიელებ-

ში დაამყარა თავისი უფლება და ენა იმათმაგე მონათესავე ტომმა სირიელებმა. ეს ენა ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ განდევნა იქიდამ ბერძნულმა ენამ. შემდეგ ამ მხარეს უწოდდნენ: სპარსები კაპპადოკიად, რომაელები კი ზღვის პირ-მხარის პონტის კაპპადოკიად. მეორე სასელოვანს არამეულს ტომს მცირე აზიისას შეადგენდნენ კილიკიელები, რომელთაც კაპპადოკიის მსრივ ტავრიგე ჭსაზღვრავდა და ასსირიელთ ბძანებლობას ქვეშ ორივე ეს ტომი ერთ თემად იყო შეერთებული. ახლა კილიკიაში უმთავრესობს სომხური ენა, რომელიც აქ ქრისტეს შობის შემდეგ მეათე საუკ. გავრცელდა. მესამე შესანიშნავ ტომად ირიცხებოდნენ კარიელნი, რომელნიც ბინადრობდნენ სამხრედად მცირე აზიაში. კარიამკვლად იწოდებოდა ფინიკად. თვით კარიელების ერთ ნაწილში ფინიკიელი ენა იყო გავრცელებული. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ მცირე აზიაში ფინიკიელებმა თავისი კვალი სხვა და სხვა მხარეში დასტოვეს: ნაწილი ლიზიისა იწოდებოდა ფინიკად. როდოსი და სხვა სა-შუალო-ქვეყნის ზღვის კუნძულები იმათგან იყო კოლონიებად დაფუძნებული. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი ცნობები იმ დაგილებზე, სადაც ფინიკიელებს მსვლელობა და აღებ-მიცემობა ჭქონიათ, იმათგანვე შეკრებილი.

არიელ ტომთ რიცხვში მიზიელებს რა ლიზიელებს ეპყრათ ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე. სტრაბონი ორსავე ამ ტომს ჭხადის ფრიგიელებად საზოგადო ჩვეულე-

ბისაებრ ფრიგიელის ტომისა იმათ ქონდათ საკრთო ტა-
ძრები. პირველად იმათ მსარეშიგე დაარქო ერთ ადგილს
ზია, რომელიც იქიდამ ჯერ მთელს ანატოლიას მიეთ-
ვისა, მასუკან მთელს მცირე აზიას. თვით ფრიგიელებზე
ეს უნდა ვთქვათ, რომ მთელს მცირე აზიაში ისინი უეკრო
მომეტებულათ იყვნენ გავრცელებულნი, ვიდრე დანაშთენნი
ტომნი. ფრიგიელები იყვნენ გაბნეულნი მცირე აზიის
შუა-ადგილებში ჭალისის მდინარემდე და სახლობდნენ
მჯდომარედ. იმათისაგე ენით მოწმობენ მათს ინ-
ევროპიულ შთამომავლობას: ამ ენის სიტყვები და გრამა-
ტიკული აგებულობა მოგვაგონებენ ელინურს, ალბან-ლა-
თინურს, ტევტონურს და სხ. ფრიგიელები გა[illegible]
ბულან გასათლების წარმატებით. სანგარიოსის [illegible]
უჩვენებენ ძველს სასაფლაოებს და სხვა და სხვა გვა[illegible]
ბლებს ფრიგიულის წარწერებით. თვით იმათი ალფა[illegible]
რომელიც ახლა თითქმის გარკვეულია, ელინურს ალფა[illegible]
ემგზავსება [8]). ფრიგიელების მონათესავეთ ირიცხებიან [illegible]
ბენი. ამის სიბუთად მოჰყავთ ჰეროდოტი რომლის თქმი-
თაც სომეხნი ფრიგიის კოლონიას შეადგენდნენ [9]). სომ-
ხურს ენაზე ახლმა გამოკვლევამ დასდო შემდეგი დასკვნა:

---

[8]) Maspero, Histoire ancienne des peuples de l'Orient, Paris, 1876, p. 239--240,604.

[9]) P. Giquet, Histoire d' Herodote, Paris, 1870, VII, 406.

ძალა სამეფოგველი და გარეშეტიკა ცხოვრათ ეკეთვენებულ ძალას სათესაურს კავშირს ზესდურს ენასთან, თუმცა ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ ძველად-ეკარი კვალია ამის ლექსიკონში როგორთაც სემიტურის ენისა, აგრეთვე ტურანულისა. მიზეზი ცხადია: დროთა განმავლობაში სომხებზე უმოქმედნია ისტორიულ გავლენას სემიტებისას და ტურანელებისას და ამისათვის შეუძლებელი იყო, რომ ამ გავლენას არ დაეტოვებინა თავისი კვალი ამათ ენაში [10]; თვით სასელწოდება სომხებისა არმენია, არმენიან წარმოადგენია არაბიდან, რომელიც ზევით მოგვისენია. ამტკიცებენ, რომ ვიდრე სომხები დაემკვიდრებოდნენ ასიდენელს არმენიაში, ეს სასელი რქმევია იმ ტომს, რომელიც ამათ წინად იქ სახლებულა და ამ უკანასკნელის სასელწოდება მიუთვისებია ამათთვის [11].

რადა თქმა უნდა, რომ მცირე აზიის ყველა ტომებში უმთავრეს ტომად უნდა ითვლებოდნენ ბელასგები. მართალია, ეს სასელი ძველადვე აღოეკვეთა, მაგრამ ამათი მიფოლოგიური გარდმოცემა ამათ შთამომავალ ტომში ელი-

---

[10]) Momsen, Histoire romaine. trad. franc.. 1866. V. 263—Vivien de Saint-Mart. Nouveau Diction. de Géogr. Univer., p. 215.

[11]) Victor Langlois, Collection des historiens anciens et modernes de l' Arménie, Paris, 1867, I, 22, n. 1.

�i dasrulebs. zogierTi amtkicebebi, viTarca xelovnebis
xelsaxebis warmomavlobaze gamoeqvemdebarebiT da viTarca xelovnebis
sxvadasxvaobas iZleva dagvarebis kvebis xedvis sadaxmarebaSi.
xelovnebis midi xolo xelovnebis-Tqmulobas iZleva
gansazRvrad uSualoebis iaqtebs, romelTac kvebaze
TurmiT rCebaSi iaqtebisa da saxis SeRebiT kvebis qedze TurmiT yoveldaaRiarebuli;
mas rCebaSi xelovnebis SeRebiT da elfenis saxis dekvebiani. vidre xelovnebani evropaSi miiRebdnen, iZleva
mogzauroba uSualo xelovnebis xedvis sadaxmarebad yoveldaaRiarebiT; saxlebi
mas dabaxvebulad mcirE saxis saxis da saxis adgilebSi
dasaxlebis mxiare. xelovnebis midi warmoadgenebis
yovel-rCebebis da moqvlebis mkvlis gamoCenebasa.
xelovnebis, TeZebasa, xelovnebasa da saxlebasa. am midiSi moTxrobilebulni
saxis-saxsovrebani saxis sadaxmarebani. midi gaiRebebis iZleva mecnierebis dedaxmarebad, romelsac TurmiTaRmoCenis mTa-velebSi TurmiT mkvidrebdnen da romelTac xmarebdnen saxlebi; iemisuri, dagvsrebia da saxlesia. iZlevaTsaxvis TurmiT daTuqmebuli yesia TavisaTvis rCebiT eTmesia da sicocxlis. zogsa mecnierebis oTxebs, viTarca sadaxmarebi mavdebarebdnen iaqtebi - evropelebs saxiTebs, viTarca iZleva
[9] gaxmarebiT da mcirE saxiSi dabaxvebulebiyvnen, viTarca cxovrebisaTvis da mcirE-asaTis xiduebaSi dayal

დასელოვნეულნი ყოფილიყვნენ, ლაშქრობაში თავიანი ქმნებს არა ჰშორდებოდნენ და ვითომც აქედან წარმოსდგა ზემოდ მოყვანილი თქმულება ამაზონებზე [12]).

იმ სიგრცეზე, რომელზედაც, მიტის თქმულებით, გაბნეულნი იყვნენ ამაზონები და თვით მათ მეზობლად მკვიდრობდნენ: ტიბარენნი, მაკრონნი, მოსსინი ჯ კოლხნი. რადგანაც ამ სახლხებს თითქმის სასოგადოდ ქართველ ტომად ჰსადიან, ამისთვის აქ უნდა მკითხველს ვუჩვენოთ თუ რას მოგვითხრობენ იმათზე უძველესის დროს უცხო-ტომთ თქმულებანი და რა აზრს მიაწერენ ამ თქმულებებს ჩვენს დროში. აქ უნდა ვთქვათ, რომ მკელის ცნობების შემწეობით ახლა კიდეც ადგენენ ისტორიულ ატლასების უძველეს ნათესავთ გეოგრაფიულ მდებარეობაზე. ამ ატლასებში ხსენებულნი ტომნიც არ არიან დავიწყებულნი. ამ გვარი ატლასები ჩვენ ორი გვაქვს ხელად: ერთი ეგუთვნის ფრანსუა ლენორმანს, არხეოლოგიის პროფესორს პარიეში, მეორე მასპერონს, პროფესორსავე ეგვიპტის ენისას და არხეოლოგიისასა Collége de France-ში. პირველი შეადგენს დამატებას ლენორმანის შრომისას Manuel d' Histoire anciene de l'Ortient, რომელიც გამოიცა ესმ წიგნად და თვით შეიცავს XXIV ქარტას. მეორე ატლასი, შემდგა-

---

[12]) Viv. de s.—Mart. Histoire dos découvertes géographiqus, Paris, 1845, II, 157—250.

ერი ცხრა ქარტით, ჩართულია მსოფლიოს ისტორიაში Histoire ancienne des peuples de l'Orient. ორივე ატლასი ერთ-გვარ წყაროებზეა აშენებული და ერთი მეორეს ეთანხმება. იმათში უფრო სრულია ლენორმანის «Atlas d' Histoire ancienne de l'Orient anterieurement aux gueres médiques». ამას გარდა ამ შრომაში ავტორი თვითოეულის ქარტის წყაროებსაც უჩვენებს და აღნიშნავს გზებს, რომლითაც ძველ ტომებს ჩქარითა მსვლელობა. ჩვენის საგნის გასარგვევად საჭიროდ ვრაცხთ აქ ზოგიერთი ცნობები გამოვკრიბოთ ლენორმანის ატლასიდან.

პირველი ქარტა წარმოგვიდგენს ევროპას, აზიას და აფრიკას იმ დროს, როდესაც ქვეყნის პირს ჯერ აწინდელი გეოლოგიური მდგომარეობა არა ჩქარა მიღებული. «ეს ქარტა, დაფუძნებული გეოლოგიურს ცნობებზე, ამბობს ლენორმანი, გამოგვისატავს ევროპას, აზიას და აფრიკას ზაში, როდესაც პირველად აღმოჩენილა ადამიანის გვალი დედა-მიწის გულში. საჭვრის ზღვა, ვაკე-მინდვრები გერმანიისა ჯერ ისევ ოკეანით არის გარემოცული. დიდი ასსეანი (მთა-ღელები) არალო-კასპიისა და შავი ზღვა მეერთებულნი არიან; სათავეები უმთავრესის მდინარეებისა ჯერ შედგენილან; ევროპა და აფრიკა ერთი-მეორესთან არის გადაბმულნი... ამავე ქარტაზეა მოსაზღვული ოვიოს ადგილები, საიდან ძველი გარდამოტანა ეგვიპტეს სხვა და სხვა ტომთ პირველ ადგილ-მამულს.

მეორე ქორწილ შეესება იმ დროს, როდესაც ძველისაგან იქმნებოდა, ეკონომია, წესი-სწორი და ჩვეულებრივ მოიგონებენ ადამიანი: როდესაც ანგელოზი ეკონ ისევ ოქსუსის მთა-ველებში მიგვიდოდნენ; დესაც სემიტებს და ტურანელებს ეწყოთ ს

და მეგოგ, და მად�, და იოგან, და ოობელ და ამა-
სია და თიერს და ძესი ლევეერისსი ასქანაზ და რაიგეთ
და თოერდაძა), მეგრამ იმისგე წყაროდ უნდა მიგვიხნდეს
ებრეოგე წინასწარ-მეტყველი ესაიელი (მე-VI საუკუნეში)
ისიდე თავი XXVII. მუხ. XXXVIII, 3; XXXIX, 1.

მეშვიდე ქარტა ანუ ეგვიპტის გეოგრაფია თუ-
თმეს მე-III-ს დროს (1600 წ.) გაგვაცნობს ნომეს-
ლიტურას (ასასელებს) თემებისას, რომელიც ამოიკი
ისეის იერუსალიმურს მწერლობაში—მუშანე. «დაბადე-
ბის მიხეხი, და რემესე ანუ ერმესი. «ოთხსაგე ამ სათე
საგს აქაც იგივე გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, როგორც
წინა ქარტაში. აქ ლესორმანის აზრით, მუშანე მე-
ადგენს მოთეთრო სათესაგს (ერიელებს). რემესეი მა-
შაგ ოვერს სათესაგს (ეფრაიმელი. გუშტი და ნეგრი)
და, როგორც ჩანს ლესორმანის ფაგეთი. რემესების
ერთე ძველად ჯერ ისევ სემიტების გვერს უწოდავს და
არა ერიელ ტოიმს ანუ ფრიგიელების მოსათესაგე ხა-
ლხებს.

მეთერთმეტე ქარტა მოგვაზავს გეოგრაფიას ასი-
რიის ძეგლებისას. «ამ ქარტის ნომეკლიტურაც ის ერთს,
როგორც გამოსოქვამდნენ ასირიელები. აქ ჩანაგენებია ერმ-
რიგი ერზეგრები ასასირიისა: ა) ბინიელ-ესისა და ერმუ-
რმანიისა დროს (905—828), ნინეგის პირველ დარ-
ღვევამდე; ბ) თიგლათიგალასარ მე-II დროს (780—321),

როდესაც დაბუმნდა, უფრო მეჩიდროდ ვიდრე წინათ, მეორე მოსარხია ნინევისა; გ) ესარ-ჰ�დროს (681—617), როდესაც სარგონიდების მოსარხია აღვიდა უმაღლეს წრეზე. ამ ქარტაზეა: შავი-ზღვის სამხრეთით თაბალი, თაბალს შემდეგ მესნაკი, რომელსაც უჭირავს ჭოროხის მთა-ღელეები, შემდეგ მუსაიკი, სადაც ახლა ქართულ-კასეთია; გიმირრა (კიმრნი), კავკასის კალთებში საქართველოს მხრით; ილლიბი ალაზან-გალმა მთებში (Illibi, Illipi ოპპერტის გამოკვლევით არის ალბანია ანუ შემდეგ დაღისტანი. Maspero, Hist., 457 n 1); ურარტი იწყობა იქ, სადაც ეტრატი და ტიგრი ერთდებიან (Ourarti, Ararti არის არარატი დაბადებისა და ალარროდიანი ჰეროდოტესი VII, 407 Maspero, Hist., 399 n. 2). ახლა ზოგიერთი ევროპის არსელოგნი, იმათ შორის ლენორმანი ამტკიცებენ, კითომც ალარროდიოსნი იყვნენ ქართველნი, რადგანაც ალარროდიანების ენა ლეირსმებრივ წარწერებში გარეშე კანისა წარმოგვიდგენს ქართულის ენის ტორმებს Lenorm., Lettres Assyriologiqus. 1-re série, I, 124, 129.

მეცამეტე ქარტა გვიჩვენებს იმ სიერცეს, რომელიც უპყრია ორს მოსარხიას ქალდეო-მიდიისას ნაბუხოდონოსორის (ნაბუქოდონოსორის) დროს (604—561). «აქ მიდიელთ და არიანელთ (არიანა) თემების ნომენკლატურა გამოწერილია ბელისტუნის წარწერიდან:

ქალდეველის თემებისა კი ასსირიის და ბაბილონის მწერლობიდან. აქ ტიბარენი, ეს უკანასკნელი ტომი დასავლეთის მხრივ, კარგა წინ არ. ს წაწეული ჭალასის მარჯვენა პირიდან. იმისნი მოსაზღვრენი ტავრის მხრასკენ არიან საღიბნი. ტიბარენებს წინ არიან ზღვის პირად მოსინეკნი, მაკრონნი, მოშიანნი და კოლხნი. იბერნი და ალბანელნი ცხოვრობენ იქვე, სადაც ამას წინად მოვისენეთ. არმენია შეიცავს ეფრატისა და ტიგრის სათავეებს.

მეჩვიდმეტე ქარტა წარმოადგენს სპარსეთის იმპერიას დარიოსის მეფობაში, ოც სასაუკუნოდ დაყოფილს (521—490). ეს ქარტა აშენებულია ჰეროდოტის თქმულებაზე, მაშასადამე იმის ნომენკლატურა ეკუთვნის კლასიკურ გეოგრაფიას. აქ იმ საკრეზე, რომელიც მდებარეს ჭალისის მარჯვენა ნაპირს და ტიბარენების საზღვრებს შორის ახლა უჭირავს ბორტის კაპადოკიას. აქ ტიბარენნი, მოსიენნი, მაკრონნი, მოშიანნი, კოლხნნი, იბერნი, ალბანნი, ისევ ისე არიან ნახენებნი, როგორც ამას წინად. საღიბებს უჭირავთ ჭალისის სათავე, ბასიანებს ეფრატის მდინარის სათავე და იმათ შემდეგ ამ მდინარეს მისდევს ალარბოდიანნი.

ჩვენის აზრით ხსენებულთ ტომთ საცხოვრებელი ადგილები და ერთი მეორის საზღვარი არეული უნდა იყოს. ჩვენ იმასაც ვფიქრობთ, რომ უცხო-ტომთ ძველი ცნობები ერთისა და იმავე ტომს სხვა და სხვა სახელს ეძლევენ და ამ რიგად იმათ წარმოგვიდგენენ სხვა და

სხვა ტომებად. ამ გვარ შეცდომის უცხო-ტომი მსგავსი სიმორცხვე გვქონდეთ ძველ დროშიაც და შემდეგაც. ის კი ეშინ ვარეთ უნდა ვიქონდეს, რომ სასენებულთ ხალხი სამდვილად ჭეშმარიტ ათ თითქმის მთელი სივრცე ადამის მდინარიდან მოყოლებული ვიდრე კავკაზის მთამდე: ამაში იმიტომ არ უნდა ვეჭვნეულებდეთ, რომ, ზოგიერთთან სხვა და სხვა გვარი გამოკვლევა ჭმოწმობს, ეგვიპტელნი. ქალდეა-ასსიერიელნი და ებრაელნი იმათითან თურმე დიანებულ ნენ და ალებ-მიცემობდნენ, იმათის მადლებით სარგებლობდნენ და იმათ ქალ-ვაჟებს საკუთრად ეტანებოდნენ: მაშასადამე დიალ კარგად იცოდნენ მდებარება იმათის ქვეყნისა.

თუ ჩვენ აქ მსჯელობაში ვიქონიებთ იმ გასაოცარს ყმითა სივრცეს, რომლის მომდინარეობაშიაც იმათ უცხო ტომნი სასენებულს ადგილებში უჩვენებენ და თუ ამასთანავე იმათ ქარ აველ ტომად ვალგიარებთ. მაშინ ჩუმოასენებული უცხო-ტომთ ცნობები ძვირ-ფასს ცნობებად უნდა მიგვაჩნდეს. ასევე იმათ ქართველ შთამომავლობაში თითქმის არ ეჭვნეულობენ. ეს საგანი შესწავლულია რამდენთამე სწავლულთაგან, მაგრამ იმათ შორის ისე საოცუმკლიანთ არავის არ გამოუკვლევია, როგორც ფრანცუზ დიუბუადე მონპერეს, რომლის «მოგზაურობა კავკაზის გარშემო» გამოიცა ექვს წიგნად ჭარიუში 1839—1843 წ. თუმცა დიბუას დროს ასალი არსებობია ჯერეთ არ არსებობდა, მაგრამ ამ ეპოქიელმა, გასვითრებულმა მე-

ტნიერების მრავალ შტოებში. სხვა და სხვა ტომი ამ-
ბიოლოგიურის და ისტორიულის ტნობების შედარებით
ხსენ გამოიძიეთ დასკვნილი სიგნი, რომ აწინდელს ანთ-
ოლოგიურს გამოძიებას კვერ იმაზე წინ წაუდგამს
ეგი. ესეც უნდა გოქვათ, რომ დიუბუას «მოგზაურობა»
აქამდე მთელს ევროპაში მიღებულია უეთეს სახელმძ-
ღვანელოდ საზოგადოდ კავკაზზე. ეი რას ამბობს დიბუ
რადსაც ის აგვიწერს საქართველოს სიმშვენიერის მადლებს:

«ოფლის ითესება აქ ბოლოსამდი. ასტანდაში, კარდა-
შვილში, ალაგლოსში, ყულეგში და სხვ. ყულეგის მა-
ღალი ტნობილია ძველადვე და ამ ეკვი ადგა, რომ
ყულეგი უნდა იყოს სადიბი ჭიმერეთისა. ჭერადოტეს და
სტრაბონის. ასმდენგერმე შემასიმშვენს კიდეც თუ
გინ იყო გინოქმული საქართველო თავისის ოფლის და
სიბალეხმით და შეიძლება დაკმაყოფილებით ითქვეს. რომ
ოთბელი ანუ თუბალი «დაბადებისა» ჭიმშვენს ასალანდელს
საქართველოს: ოსებ ტლეგიანი ბეერაად სითარგმნის ამ
ძველ სახელს, რომელსაც ბერძენი მისთვიანებდნენ ქა-
ართველებს.

«ივან, ოთბელ და მოსოხ ვაჭარ შენდა, რომე-
ლთა ამავალეს ალებ-მიცემობა თვის ვაჭრობითა ენ-
თ�ითა და ჭურჭლითა ოვალისაგთა» (ოვალი სბალენია).
ეტეკის ესეეელი ქალაქის ტირის ალებ-მიცემობის
მაკვანიერს ალწერაში (თავი 21, მუხლი 13) [13]).

[13]) ეს მუხლი თითქმის ერთ-გვარია როგორც ფრანცეზულს

«მარტო სუნიდენმი არ ეოფილა საგნად ალებ-მი-ცემისა, რომელიც აძლიდრებდა თობელის ვაჭრობას. ნუ-თუ თობელს არ წარმოგვიდგენს ძველის-ძველად «დაბადება», «ხოლო სელაჲ შვა თობელ: ესე იყო კეკრით ხურაჲ ძჭედელი რკალისა და რკინისა (თავ. 4, მუხ. 22).

«იქ, სადაც ებრაელნი უჩვენებენ თავიანთ თობელს, ბერძენნი ჩვოებენ სალიბებს, რომელთ სახელი ჩნიშნავდა ფოლადს და თვით სალხს, რკინეულობის ჭედის მცოდნეს.

«თავ და პირველად ამ საგნის შეეხება ჩომერი. ის აძბობს ილიადის მეორე თავში:« ოდიოსი და ახოვანი ეპისტროტუსი წინამძღვრობენ ჩალიზონის მხედრობას, მომავალს შორის-ქვეყნით ჩალიბით, სადაც ვერცხლი ბოვება.» შემდეგ ჩომერისა სხვა მწერლები ხშირად მოიხსენებენ ხალიბების რკინას. სტრაბონი, გასმარტავს რა ხეძოდ მოუვანილ სიტყვას ჩომერისას, არღვევს იმ მწერალთ აზრს, რომელნიც სალიბებს ასახელებენ მცირე

ბიბლიაში, აგრეთვე ნემენტურში და ლათინურში, მხოლოდ ამ უკანასკნელში იავანის მაგიერ იხმარება Graecia, ქართულ ბიბლიაში კი შეცვლილია ისე, როგორც სლავიანურში. ქართულშია: „ელადაჲ ყოველი და განმვრცობელნი მისნი ვაჭრობდეს შენ შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რკალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა„. სლავიანურშია: „Еллада вся, и ближніи твои продаяху въ тебѣ душы человѣчи: и сосуды мѣдны даша купилю твою“.

ხიის წინა ადგილებში; თვით სტრაბონი იმათ უჩვენებს
ომხეთში. მართლადაც, ეულეფი (გოლეფი) არის სომხუ-
ი სიტყვა და მე ვიცი სომხეთში სამი ადგილი, სა-
ულ-დებული ეულეფად და სამნივე იგინი განთქმულნი
ოფილან მადნებით. ერთი მათგანია ყარსის თავშალიკი;
ეორეს, რომელიც მე განვიხილე, დიდ-არმენიაშია, მაგ-
ამ ორსავე ამ ეულეფში ითხრება მხოლოდ მარილი. მე-
ამეს შეადგენს ის ეულეფი, რომელიც რკინის მადნით
ის მდიდარი და რომლის სასელით ორი-ათასის წლის
ინად იგულისხმებოდა ერთი გუგარის უმთავრესთა თა-
თაგანი, ესე იგი ხეობა ეულეფისა, ანუ გოლეფეფორისა,
ე დროს ეს ეულეფი შეადგენდა არმენიის ნაწილს.

«ახლა თუ თქვენ დარწმუნდით, რომ ეულეფია ძვე-
ი სალიბი, მაშ ისიც ცხადი უნდა იყოს თქვენთვის,
თუ რისთვის უწოდს ჩოქერი ჩვენიზონებად ეულეფიდან
ომავალ მხედრობას: გადით მტკვარს, რომელიც ბირის-
ირ ეულეფისა მიმდინარეს და თქვენ შეხვალთ მშვენიერს
ველზნის ხეობაში, რომლის სასელი ისე ძველია,
როგორც თვით ქართველი ერი.

«ბიბლია კიდევაც წარმოგვიდგენს ერთ ადგილს,
ომელშიც ჩემი ეურადღება მიაქცია და რომელიც ცხა-
ად გვიმტკიცებს, რომ ეულეფი, გოლეფი, თობელი და
ოსოხი ერთი და იგივეა. ეზეკიელის წიგნში ვკითხუ-
ობთ: «ძეო კაცისაო განიმტკიცე პირი შენი გოგსაზედ
და ქვეყანასა ზედა მაგოგთასა, მთავარსა როსს, მოსოხს

და თოვლისა და წვიმა მის ზედა (თავ. 38 ჯ 39). თუ
მკითხავთ . რა მსგავსებაა ქვეთ ერთმანეთში ყულფესა და-
გოლეესა, მე გეტყვით ამაზე: ყულფი თქმის ქარი-ულად:
სიმსუბი კი ამ სიტყვას გამოსთქმენ გოლეესად, რადგან
სარ მათ ენაში ლ იცვლება ლ-ად, ასე მაგალ. სიმსუბი
იტყვიან ადგილის მაგიერ ალგასი, ლარსოს მაგიერ ლა-
ზარი, თრიალეთის მაგიერ თრელ, და სხვა.»

სხვადგილს იგივე დაუბეჭდავს ამბობს: «მესხი, მოსოხი.
მოსოხის ტომი. წარმოიმდგარი ჩიორეველთა ტრიალეთი-
ან(?) ანუ თარგამოსიანთაგან და მიდიელთაგან. რომე-
ლიც ის დაუფლებიათ წარმტაცებას გზასე და სალოსი-
სოობის მეზობელ სიგუმეველზე. ბინადრობდა ბოლოსაკენ
და სიქართველოს შიგნის: ამას ენეგრა მიელი ერთ-
ეროვნების სოფლიდან (ტარი ძველთა მწერალთა) ვიდრე
მტკვრის სოფლამდე. თვით ყარსისა და ანასლოსის ოკეა-
ნეებია ენდა ეროვლიანების მოსოხის შუა-გულად.

«ერთი და იგივე ენა ეროვლა ყოველთვის მოსხის
სასალეფენი: ხან ვრცელი თუნმე იყო, ხან შესალუდული.
მოსოხის სასალეფანდენ ოდესმე სამეფოანი, რომელნიც
ამას ამალეფობდენ და სტანენდენ უნეთ მანიეზეულის
ალალე-მანდეფენს. სტანაბოსის დროს. ამის სიტყვით, ეს
დაეროვლა ჭოსიდთ ეროვლიდან, ებეფოსს და ანმესიას.

«ეს ალან გასეიმეფენ. ოვე ოდეს ზედად ვსოქი
მესხეთსე ან მსოლოდ შეესიმსვ, რომ თვეთ სასქარ-
თველოს მწერალი მესხებად ისსენებენ მესხეთის

ესოკრებთა, რომელნიც ამ სასელოთვე ცხოვიდნ-
ერიან ბაბილონში, სტრაბონისაგან და პროკოპისაგან. თუ-
�ისინი აქამომდე ისევ მესოპოტამიად იწოდებიან, მაგრამ
ემეტესი საწილი იმათის მხარისა ზემო ქართლად
ნის შეცვლილი. ეს გარემოება ჩვენ გვიმტკიცებს დიდს
ათესავურ დამოკიდებულებას მესოპოტამელთას და ქართვე-
ებისას; ამასვე გვიმტკიცებენ მათი ენა, სასიათი
და ცხოვრების ჩვეულებანი, რომელნიც ყოველთვის
ერთნი და იგინივე ყოფილან. მოსინი და თობელნი
ართველნი—ძველის-ძველადგანვე არიან სიმობილნი როგ
ორც თვით სამეფო-წერილში, აგრეთვე ჰეროდოტესაგან.
ეროდოტეს სიტყვით ორნივე, მოსინი და ტიბარენნი
ერთად სწყვენ სარგს სპარსეთისთვის (Hérodote, III, 94),
რთ-გვარ არიან შეარა.ლებულნი და ერთს სარდალს ექვე-
�ებიან ქსერქსის მსედრობაში [13])

«რომ თობელნი თუ თუბალნი არიან ქართველნი
ს ცხადია: იოსებ ფლავიოსი სამდვილად ამბობს,
რომ თუბალებად იგულისმებოდნენო იმის დროს
ბერნი ანუ იბერნი ბალთისა, სტრაბონისა და
ბროკოფისა, ესე იგი აწინდელნი ქართველნი.
ეუბალი, იბერი და ჰეროდოტეს ტიბერნი ერთი და
�ეა, თუმცა თვით ქართველნი ამ სასელს არ უწოდებენ
ბაჩვენთ ქვეყანას. აქამომდე შერჩენია ეს სასელი მხოლოდ

[13]) ვიკიანე დე სენ-მარტენის შენიშვნით, იმათ ერთ-გვარ-
ტომობასვე აძლევს თვით სტრაბონი, რომელიც იმათ საზოგა-
დოდ იხსენიებს ტიბარენის ტომებად.

მათ სატასტო ქალაქს ტფილისს, რომელიც ძველად დიდად გასთქმული ყოფილა თავის ადგილებით. მე კიდეც გამოკიკვლიე მნიშვნელობა ტუბალისა და მოსოსის ვაჭრობისა რომელიც განვითარდებოდა ადამიანისა ჯ სპილენძეულობის ალებ-მიცემობით. მე ვამტკიცებ, რომ რვალი ტუბალისა გამოჭრილთ საქართველო სომხეთიდამ ჯ თვით რკინა ხალიბებისა მ'ზადდებოდა იმის მასლობლად ყულფისა და სხვა ადგილების მრავალს ქარხანებში. რა დიდის ხნისანი არიან ეს ქარხანები, ამას გვიმტკიცებს «დაბადების» თქმულება წარღვნის წინა-დროის ტუბალ-კაინზე, რომელმაც პირველად თურმე შემოიღო ყოველ-გვარი იარაღი რკინისა და სპილენძისა.»

აქ შენიშვნაში დიუბუა თავისის აზრის შესამოწმებლად ხალიბების მდებარებაზე მოიყვანს სკილაქს (522 წ- ქრისტეს წინ), რომლის თქმითაც შემდეგ მოსინექებისა სცხოვრობდნენ ტიბარენნი და მასუკან ხალიბნი. ცხადია, რომ სკილაქსი აღნიშნავსო ხალიბებს ტფილისის მასლობლად. «მე ვფიქრობო, განაგრძობს დიუბუა, რომ მოსინექნი მოსსნი არიანო, თუმცა ჭეშმარიტ განასხვავებს ჭეშებსო მათ შორის» აქ უნდა დაუმატოთ, რომ გამოჩენილი ახლანდელთ მეცნიერთა შორის ერნესტ რენანი ხალიბებს ეძებს ძველს **გორდიანში** რომელიც, იმის აზრით, არის ქალდეა ანუ აწინდელი ქურთების ადგილ-სადგომი ჩვენის თქვენით, თუ ამ შეთხვევაში შემცდარია დიუბუ, შემცდარი უნდა იყოს აგრეთვე რენანი. კრთი კ, რომ სტრა-

ბონი, რომელსაც ჩვენის მხრის ტომთ მდებარება და ვითარებანი კარგად სცოდნია, უჩვენებს სალიბებს, რომელნიც, იმის სიტყვით,—ჩვენ დროში ქალდიებად იწოდებიანო, ტიბარენებსა და ჭანებს შორის. ჭანებს ის ძველ მაკრონებად ჰხადის; მეორე ეს, რომ რომაელების და ვიზანტიელების დროს ხსენებული ქალდეა პონტის ქალდეად იწოდებოდა. მაშ სჩანს, რომ ის ზღვის პირი ძხარე ყოფილა. აი რას ამბობს ამაზე სახელოვანი ყინსენ-მარტენი: „ძველნი და საშუალო საუკუნოთა მწერალნი ქალდეად უწოდდნენ იმ ადგილს, რომელიც მდებარებს ტრაპიზონსა და კოლხიდას შუა და რომელიც მიებჯინება იმ მთას, საიდამაც ჩამოძდინარებენ ეტრატი, არაქის, მტკვარი და აკამფსისი ანუ ახლანდელი ჭოროხი. ქრისტეს შემდეგ მეათე საუკ. დამდეგს ეს სახელი დაერქვა ერთს კონსტანტინეპოლის სამხედრო თემთაგანს, რომლის საცხოვრო ქალაქად ირიცხებოდა ტრაპიზონი.